პარასკევი, 1918 წ. მარტის 16 (29) № 58

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 1918 წ. მარტის 16 (29) № 58

ფელიეტონი მეოთხე

# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერთა შახალდა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი შახალდ უყურადოთ ითვლება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა შახალდ არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. ხარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროის.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართველი ქარავასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებული განცხადებისა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულდ და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა დღეა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

დავით ალიევის ძე და პელაგია მახეიევის ასული ივანეთაშვილები, შვილები: ეკატერინე, ნინა, მახეიევი და მარია გამოუთქვეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 13-ს ამა მარტს გარდაიცვალა დაუვიწყარი შვილი პირველი და ძმა უკანასკნელთა

**პოტე (პოტიკი)**

**დავითაშვილი**

პანაშვიდები საღამოს 6-ს საათზე; გამოსვენება შაბათს, 17-ს მარტს, დილის 9 საათზე, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. მისამართი: ნაპარეულის ქ. № 20. 3—1526—2

მარგალიტა თევმურაზის ასული, ბესარიონ და ალექსანდრე საყვარელიძეები გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უფროსოდ გარდაიცვალა პირველის შვილი, შეორის გირი და მესამის ალზრდილი ქუთაისის ეროვნულ გიმნაზიის მოწაფე

**ანდრიუშა ხოფერია**

გასვენება პარასკევს, 16 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, სოფ. საქარაში. 2—927—2

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე ილენე ივანეთის ასული გაბაშვილისა, ძმა ნიკოლოზ ივანეს ძე გაბაშვილი მეუღლით და შვილებით, ლიბი მარიამ ივანეს ასული ალიუშელისა, თამარ ივანეს ასული ნაცვლიშვილისა, ცოლის დები სოფიო დავითის ასული ჯაფარიძისა და ევა დავითის ასული გელეგანიშვილისა შვილებითურთ ტრადიციულად გარდაცვალებას

**ალექსანდრე ივანეს ძე**

**გაბაშვილის.**

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოთი 6 ნახევარ საათზედ. დაკრძალვა პარასკევს 16 მარტს ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. გამოსვენება დილის 10 საათზედ საკუთარს მინდვრ ვარაზის უნის ქუჩ. № 5. 1—1527—1

კვირას 18 მარტს ქ. გორში საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი, ყველგულად მოკლულ სოფ. ზემოხვედურეთში

**დარია მერაბის ასულის**

**ციციშვილისას,**

რასაც აუწყებენ შვილი სოფიო ზაქარიას ასული და ხანა ილია ილარიონის ძე ციციშვილები. 1—1523—1

**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს საქართველოში, (ფრანკლინის ქუჩა, 11, საპუთარი სახლი) დილის 11—3-მდე**

**ექიმი**

**დიმიტრი (რამინ) იოსებიძე**

**ყორდანია**

სწავლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ბალარია და ქრონიკული ტრიპერი. სადამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე. ტელეფონი 14—37 1—960—16

**ექიმი**

**მ. წინამძღვრიშვილი**

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და საზ. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულის, ფილტვისა და ხველის სნეულებისს სპეციალურად. ადგილს: დილით 10—12 საათამდე და ხალამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძ. ბაღის ახლო, სასტუმრო „ბრ-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—8

**დავკარგე**

**ძაღლი**

„ეულიკი“ პატარა, ოქროს ფერისა. ვინც რომ იცის, ანუ მიპოვნის, კარგ საჩუქარს მიიღებს.

მისამართი: პეტრე-დიდის ქუჩა № 30 ი. ზარდალიშვილი. 2—1525—2

ხამკ. ... ნალო კანონეთი ექიმ

**ალექსანდრე დავითის ძის**

**კეკლიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე სადამოთი. მისეულის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიერ“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

## „საქართველოს“ კონტორა

**ანცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.**

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**

**მთავარი კომიტეტი**

ამყოფება ... ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის მიხედ.) დიდი ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე. იმ დროს განმავლობაში შეიძლება ... ცნობების მიღება, ისევ წერილად ... შემოწირულებ. ... ანა.

**ახალი წიგნი**

**გრიგოლ ვეშაპელი.**

**საქართველო და რუსეთი**

ხელმძღვანელოს ისტორიული საზღვრებისა ... ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს“ კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის“ წიგნის მაღაზიაში.

**ქართული კლუბი**

**დილის წარმოდგენა**

კვირას 18 მარტს 1918 წ.

მსახიობი ქალი ელენა ანდრონიკაშვილი ... ბენეფისს. დამსახურებულ მსახიობთა ... ... ...

ბიდან სხვა გზა არ არის, ან მთავრობა წყვეტ სახელმწიფოებრივი გზით, გადდება ნამდვილ მთავრობად, ან და სტიქია გაიტანს თავისას. ხალხი ან შესძლებს ახალი, უფრო შესაფერისი მართვა-გამგეობის მოწყობას, ან და გაამეფებს ანარქიას. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომზადებულია ჩვენი ხალხი დემოკრატიული წყობილებისთვის, ანდა რამდენად შეუძლიან მას განვლილი შეცდომებით ისარგებლოს. „ერთობა“ კითხულობს, —ეხლანდელმა მთავრობამ რომ ხალხს თავი მიანებოს და თავის ბედი მას მიანდოს „ამას განა საშინელი ანარქია არ მოყვება“? შესაძლოა, მაგრამ ამ სენს თავიდან ვერ აიცდენს ჩვენი ხალხი, უკეთუ მისი მთავრობა უნიათო და უძლური გამოდგა და თვით ხალხი კი უგნური და დემოკრატიული, ხალხური მმართველობისთვის მოუმზადებელი, როგორც ამას „ერთობა“ ჰფიქრობს.

# ზავის გარშემო

## ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება

როსტოვის ერთ გაზეთში, სახელდობრ „რაბოჩეე სლოვოში“ მოყვანილია გერმანეთთან, ავსტრია-უნგრეთთან, ოსმალეთთან და ბულგარეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკში თებერვლის 18-ს (მარტის 3-ს).

1. გერმანეთი, ავსტრია-უნგრეთი და ბულგარეთი ერთის მხრივ და რუსეთი მეორის მხრივ ერთი ერთმანეთს შორის ომს სწყვეტენ. მათ შემდეგში მშვიდობიანი ცხოვრება აქვთ განზრახული.

2. თვითეული მხარე მოვალეა შესწყვიტოს ყოველი აგიტაცია ანდა პროპაგანდა მეორე მხრის სახელმწიფოებრივ წყობილების წინააღმდეგ მიმართული. ეს მოვალეობა, რამდენადაც იგი შეეხება რუსეთს, ძალაში რჩება ოთხთა კავშირის ჯარების მიერ დაპყრობილ ადგილებში.

3. ის ოლქები, რომლებიც მდებარეობენ ორივე მხრის მიერ მიღებულ ხაზის დასავლეთით და რომლებიც აქამომდე რუსეთს ეკუთვნოდნენ, არ დარჩებიან რუსეთის უმაღლეს მთავრობის ქვეშ.

ამ ხელშეკრულების თანახმად ორივე მხრის შეთანხმებით მიღებული ხაზი იქნება ბუნებრივ საზღვრად.

**შენიშვნა:** ამ ხაზს დაადგენს საგანგებო კომისია, რომელშიაც შეეღნენ როგორც რუსები ისე გერმანელები. ხსენებულ ხაზის დასავლეთით მდებარე ოლქები თუმც რუსეთს ეკუთვნოდნენ, მაგრამ ეს გარემოება არაფერს ავალებს ამ ოლქებს რუსეთის წინაშე. რუსეთი უარს აცხადებს ამ ოლქების შინაურ ცხოვრებაში ჩარევაზე. გერმანეთს და ავსტრია-უნგრეთს განზრახული აქვთ ამ ოლქების მომავალი ბედი გადასწყვიტონ მცხოვრებთა სურვილისამებრ.

4. გერმანეთი მზადაა, როდესაც დამყარდება საყოველთაო ზავი და რუსის ჯარის დემობილიზაცია განხორციელდება, გაწმინდოს ის ოლქები, რომლებიც მდებარეობენ იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც ნაჩვენებია მე-3-ე ბუხლის პირველ პუნქტში რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლს.

რუსეთი შეასრულებს ყოველივე მას, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ უზრუნველყოფილ იქმნეს ანატოლიის აღმოსავლეთ პროვინციების სასწრაფოდ გაწმენდა და ოსმალეთის კანონიერ-ზომიერი აღორძინება.

არტაანან, ყარსის და ბათომის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ უნდა გაწმინდონ რუსის ჯარებისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფო საერთაშორისო უფლებრივ დამოკიდებულებაში, არამედ ანდობს ახალ-წყობილების დამყარებას. თვით მცხოვრებლები, რომელნიც ახალ წყობილებას დაამყარებენ ამ სახელმწიფოებთან ე. ი. გერმანეთთან, ავსტრია-უნგრეთთან, კერძოდ კი ოსმალეთთან და ბულგარეთთან შეთანხმებით.

5) რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა დამალოს თავის ჯარები. ამ ჯარებთან ერთად უნდა დაიშალოს აგრეთვე ახალ მთავრობის მიერ შედგენილი ჯარები.

თავის სახელდრო გემებს იგი გაიწვევს რუსეთის ნავთ-სადგურებში, სადაც გემები საყოველთაო ზავის დამყარებამდის დარჩებიან. ასევე უნდა მოიქცნენ ოთხთა კავშირთან მებრძოლ სახელმწიფოების გემები. ყინულოვან ოკეანეს ნეიტრალი ნაწილი ნეიტრალადვე დარჩება საყოველთაო ზავის დამყარებამდე. ბალტიის ზღვა, და აგრეთვე შავი ზღვა უნდა განთავისუფლდეს რუსთა ბატონობისაგან. ამ ზღვებზე დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს—თავისუფალი საფრენო ნავსადგობა. ურყევ დადგენილებათა შესამუშავებლად, კერძოდ კი ნავსნობის უშიშროებისათვის, შესდგება საგანგებო კომისიები. ზღვებში მცურავ ნაღმთა თარეში უნდა მოისპოს.

6) რუსეთი მოვალეა დაუყოვნებლივ შეეკრას ზავით უკრაინის სახალხო რესპუბლიკას და ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას მის და ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებას. უკრაინის ტერიტორია უნდა განიწმინდოს როგორც რუს ჯარებისაგან, ისე წითელგვარდიელთაგან. რუსეთი სწყვეტს უკრაინის მთავრობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციას.

რუსებმა ჯარები და წითელ გვარდიელები უნდა გაიყვანონ აგრეთვე ლიფლიანდიიდან. საერთოდ ლიფლიანდიის აღმოსავლეთი საზღვარი ტარდება პსკოვის ტბაზე, მის სამხრეთ დასავლეთის კუთხეებზე. ქვემოდ ყუბანის ტბისკენ პიდენგოფის მიმართულებით. ლიფლიანდიაში და ესტლიანდიაში შემოღებულ იქმნება გერმანეთის საპოლიციო მთავრობა მანამდის, სანამ ადგილობრივ არ იქმნება საზოგადოებრივი თავდაცვის უზრუნველყოფა და წესიერება. რუსეთი დაუყოვნებლივ ანთავისუფლებს ესტლიანდიიდან და ლიფლიანდიიდან დაპერილთ და წამოყვანილთ. უნდა მოეწყოს ისე, რომ დაუბრკოლებლივ შეეძლოთ მათ უკან დაბრუნება.

7) დაუყოვნებლივ გაწმენდილ იქმნება რუსის ჯარებისა და წითელ გვარდიელებიდან ალანდის კუნძულები, ხოლო ფინლიანდიის ნავსადგურები განთავისუფლებულ უნდა იქმნეს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უმალ. საეკონომიო დამოკიდებულებაში ოთხთა კავშირისა და რუსეთის შორის შემდეგი დადგენილებით უნდა ხელმძღვანელობდნენ: მე-2 მუხლი ეხება გერმანეთ-რუსეთის დამოკიდებულებას, მე-3 მუხლი ავსტრია-ჰუნგრეთისა და რუსეთის დამოკიდებულებას, მე 4 მუხლი—ბულგარეთ რუსეთისას, მე-5 ბუხლი—ოსმალეთ რუსეთისას. მე-7 მუხლს უნდა დაერთოს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი საზელმწიფონი ვალდებულად სთვლიან თავს სპარსეთი და ავღანისტანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარონ და დაიცვან მისი პოლიტიკური მრეწველობა და ტერიტორიული დამოუკიდებლობა.

11) საზოგადოებრივ და კერძო უფლებიან ურთიერთობის აღდგენა, სამხედრო ტყვეების გაცვლა, ამნისტიის და ომში დაპერილ გემების საკითხი, არსებით ნაწილს შეადგენს დღეს შეერთებულ ზავისას.

12) გერმანეთის და რუსეთის ურთიერთობისთვის უნდა იხელმძღვანელონ რუსულ და გერმანულ ტექსტით, ბულგარეთის და რუსეთისთვის—ბულგარულ რუსულად, ოსმალეთის და რუსეთისთვის ოსმალურ-რუსულ ტექსტით.

13) რატიფიკაციული სიგელები ერთმანეთს უნდა ბერლინში ჩაბარონ.

რუსის მთავრობა ვალდებულია, გაცვალოს რატიფიკაციული სიგელები ორი კვირის განმავლობაში. საზავო ხელშეკრულობა ძალაში შედის რატიფიკაციის შემდეგ, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ცალკე მუხლებს, შენიშვნებს და დამატებითი პირობებს.

რაც შეეხება უფლებათა და ეკონომიურ მუხლებს, ხარეოვის ორგანიზაცია, გადასცემს საერთოდ მას, ძალაში შედის 1904 წელს რუსეთ-გერმანეთის შორის დადებული საზავო ხელშეკრულობა, მსოფლიო ომმა მოითხოვა ზოგიერთ მუხლების შეცვლა, რომელიც არ აკმაყოფილებს გერმანეთის ინტერესები; ახლა რუსეთში მყარდება პირდაპირი დამოუკიდებლობა სპარსეთ-ავღანისტანთან და თავისუფალი ტრანზიტი. 1925 წლამდე, რუსეთს არ შეუძლია მოუმატოს გადასახადი. ტარიფი ამ ვადამდე რჩება უცვლელად.

რუსეთმა უნდა აანაზღაუროს ყველა ის ზარალი, რაც მან მიაყენა გერმანეთის დიპლომატებს და კონსულებს აგრეთვე გერმანულ დაწესებულებებს. ახლდება ძველი მოლაპარაკება. გერმანელებს რუსეთში უნდა ჰქონდეთ თავისი უფლებანი, რომელიც ომის კანონებმა დასთურგნა. რატიფიკაციის შემდეგ ახლდება ყოველნაირი, საქმის ურთიერთობა რუსულ და გერმანულ კრედიტებისა. შეძლებისამებრ ახლო მომავალში გადახდილ უნდა იქმნას ხარჯი, რომლის ვადა უკვე გასულია.

რაც შეეხება საერთაშორისო კანონების მიერ მიყენებულ გერმანელთა ზარალის ანაზღაურების მოვალეობა პრინციპად მიიღება. ამის შესახებ შეთანხმება შემდეგაც შეიძლება. ლიკვიდაციის და სეკვესტრის საგანგებო გადაწყვეტილება ორივე მხრით შემუშავებულია.

საზღვრო ტყვეების გაცვლა ევალება შერეულ კომისიას. საგანგებო გერმანული კომისია იზრუნვებს რუსეთიდან დაბრუნებულ ტყვეებისთვის. სამხედრო ტყვეების შენახვის ხარჯი ანაზღაურდება. უზრუნველყოფილი იქნება გარდაცვლილთა დამარხვის საქმეც. გერმანელ მოახალშენეებს უნდა აუხაზღაურონ ზარალი და თავისუფალი გზა მისცენ სამშობლოსაკენ.

რაც შეეხება ამნისტიას, თვითეულს მხარეს შეუძლია მიანიჭოს ამნისტია თავის ქვეშევრდომთ, რომელთაც ომიანობისას კანონი დაარღვიეს. ასევე ტყვეებს და სხ. რუსებისგან დაცლილ ოლქებში ამნისტია მიენიჭებათ ზოგერთ სამხედრო პოლიტიკურ დამნაშაულობისთვის. ამასთანავე სამხედრო თავალსაზრისით დაცულ უნდა იქმნას გერმანეთის ინტერესები. ომში დაპერილ გემების და აღკრძალულ საქონლის საქმე გადაწყდება შერეულ კომისიისგან, რომელსაც ნეიტრალი პირი თავმჯდომარეობს. ორივე მხარე მოვალეა აღადგინოს ძველი ორგანიზაციები შლიხტერპენში, რომელიც დარღვეულ იქმნა ომის დროს გერმანეთის წინადადებასთან შეთანხმებით.

# გრესტის ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის შესახებ

საზავო დელეგაციის წევრმა ალექსეევმა, (მემარცხ. ესერი) „ვეჩერნაია ზვეზდას“ თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა:

ყველაზე საზიანო მუხლი ბრესტში შეკრული ზავისა, რასაკვირველია ყარსისა,არტაანის და ბათუმის ჩამოშორების მუხლია.

მართალია, ეს რუსეთს ალარ შეეხება, ამას გადასწყვეტს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც ყოველ შემთხვევაში ალარა ჰსურს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა. რასაკვირველია შეუძლებელია მისი ოსმალეთთან შეერთებაც. საინტერესოა, ბრესტში თქმული განცხადება ოსმალებისა, რომ ბათუმი ოსმალეთის ძველი ქალაქია; ამედან ირკვევა, რომ თვითგამორკვევის მუხლს გერმანელებიც კომედიად ჰთვლიან. საზავო პირობებში, გარდა 1904 წ. მეძმე საეკლესიო ხელშეკრულობის აღდგენისა და ბათუმ-ყარს არტაანის ბუხლებისა, სხვა არა შეცვლილა რა. რაც დემობილიზაციას შეეხება, ჩვენ მოვითხოვეთ, რომ რუსეთს იმდენი ჯარი უნდა ჰყავდეს, რამდენიც ჰყავდა ომიანობამდე.

ჩვენით თუ არა ბრესტში—სთქვა ალექსეევმა, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ყოველივე ლონისძიება საზავო პირობათა შეცვლისთვის ამაო იქნება და წაგებულ საქმეს არა ეშველება რა. ჩვენ მტკიცედ მოგვთხოვეს დაგვესვა ფორმალური ბეჭედი, რომ მივიღეთ მათი ულტიმატუმი, რაც შევასრულეთ. მისცლისთანავე მოვითხოვეთ რომ შეეჩერებინათ შემოტევა, მაგრამ ცივი უარით გვიპასუხეს.

# ომი

## კავკასიის ფრონტზე

**ოფიციალი. მარტის 14.**

ერევნის მიმართულებით არარატთან ქურთები იყრიან თავს. ოსმალთა რადიის ცნობით ოლთისი ოსმალთ აუღიათ. ამ მხარეზე ოსმალნი წინსვლას განაგრძობენ. ოსმალთა ჯარი ყარსისკენ წინ მოიწევს, რომელსაც სულ მოკლე ხანში ალყას შემოარტყმენ. ერევნული ჯარები სიმცირის გამო უკან იხევენ. მდგომარეობა ერთობ მწვავეა.

ხამადანიდან გენ. ბარათოვი იუწყება: რეშტში დაეპატიმრეს ინგლისურ ბანკის დირექტორი, მოსამსახურენი, ინგლისის კონსული და ოფიცერი. გენერალ მისტუროვს ვუბრძანე, გაანთავისუფლოს ყველანი, თუნდ ამისთვის იარაღის ხმარებაც დასჭირდეს.

# რადიო-გიულეტენი

## გერმანეთის შეტევა დასავლეთ ფრონტზე

**ბერლინი.** მარტის 27. გერმანეთის ოფიციალი. გუშინ წინ დამარცხებული ფრანგთ-ინგლისთა ჯარი ცდილობდა შეგვეჩერებინეთ. დილიდანვე დიდ ფრონტზე მდ. სომმას ორივე ნაპირზე მტერი უკან იხევს. მოწინააღმდეგის ზურგის ჯარები დავამარცხეთ. ალბერტს ჩრდილოეთი და აღმოსავლეთით მდ. ანკრაზე გადავედით. ს


. მოთი ქალბერტი ავიღეთ. სომმას სამხრეთით დიდი ბრძოლის შემდეგ მტერი განვდევნეთ შილნგლსსა და ნოიონის იქით. როიე იერიშით ავიღეთ ნოიონი მტერმა დასცალა. ბევრ ალაგას 1916 წლის პოზიციებს მივღწიეთ. სომმას რაიონში დასავლეთისაკენ მივიწევთ წინ. ტყვეები მრავლდება. დავლა გვაქვს. მარტის 22-დე 963 ზარბაზანი და 100-ზე მეტი ჯავშნიანი ავტომობილი წამოვიღეთ და ჩამოვაგდეთ 93 საფრენი და საპაერო ბუშტი.

როტმისტრი ფრეიგერ-ფონ რიხტჰოფერმა 70 საჰაერო ბრძოლა მოიგო. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ვერდენთან და ლოტარინგიაში.

**ბერლინი.** მარტის 27. საღამოს ოფიციალი. სომმას ორივე მხარეზე ნელ-ნელა წინსვლას განვაძრძობთ.

**პარიზი.** მარტის 27. საფრანგეთის ოფიციალი. დღეს გერმანელებმა ახალი ძალებით შეუტიეს ჩვენ პოზიციებს. ჩვენ დიდ წინააღმდეგობას ვუწევდით და მტრის იერიშებს ვიგერიებდით. მტერი მაინც წინ მოიწევს, რადგანაც მათი ძალები ჩვენებზე ბევრით მეტია. ლასიგნისა და ლოიანთან მტრის მეოგარი იერიშები მათი დამარცხებით გათავდა.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტზე. უდიდესი ბრძოლებია ინგლისელთა ზარალი ისეთია, როგორიც ჯერ არა ყოფილა ამ ომის ხანაში. რუსეთის და იტალიეთის ფრონტებზედაც კი არა ყოფილა ასეთი ზარალი. ინგლისელთა ზოგი დივიზია ერთიანად განადგურდა. ფართე ფრონტზედ მტრის დამარცხებულ ნაწილებს ვდევნით.

—

ლიტველთა დელეგაციამ ვილჰელმს მისალმება გაუგზავნა ლიტვეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. კაიზერმა ამაზე მადლობა გამოუგზავნა.

—

გემი „პატანოსი“ და გერმანელთა სხვა გემები ოდესაში მოვიდნენ. ზღვაზე მოძრაობა გაიხსნა, უკრაინის ყველა მნიშვნელოვან ნავთსადგურებთან. შავი ზღვა კონსტანციდან დუნაიამდე და ოდესამდე ნაღმებისაგან თავისუფალია.

**პარიზი.** გერმანელთა ახალი შორსმსროლელ ზარბაზნების ცეცხლის სფეროში.

**ნიუიორკი.** სადგ. ჯერსკისიტის საქონლის სადგურზე დიდი აფეთქება მოხდა.

**ციხინი.** კაიზერი რადიოთი ატყობინებს კრუპს, ფონ ვაიზეს, ფონ ეოგლენს, ხალბახს. თქვენი ახალი ზარბაზანი საუკეთესო გამოდგა. მის საშუალებით პარიზის 100 კილომეტრის მანძილიდან ვუშენდით ყუმბარებს. თქვენი ახალი გამოგონებით თქვენ ახალი გმირული კაბადონი ჩასწერეთ კრუპის ქარხნის ისტორიაში. ამის გამო თქვენ და ქარხნის ყველა მუშებს გწირავთ ჩემ მეფურ მადლობას.

**გაზეთი და პარტიის ხაორგანიზაციო ხაქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.**

# პრონიკა

## თბილისი.

**◆ მოხალისეობა.** ყვირილიდან გეგეჭკორის ატოყობინებენ: მოხალისეობა კარგად მიდის. ჯარში ჩასაწერად ჯგუფ ჯგუფად მოდიან სიმღერით და წითელ დროშებით. დღეს შორაპნიდან 600 კაცი გავგზავნეთ.

**◆ სომეხი ჯარისკაცნი ბაქოში.** რადგანაც ბაქო—თბილისის რკინის გზაზე მოძრაობა 2 თვის განმავლობაში შეწყვეტილი იყო სომეხთათვის ბაქოში რამდენიმე ათასი სომეხი ჯარის კაცი შეიკრებოდა უკმად იყო, რაც ძალიან საშიში იყო; სომხებს განზრახვა არ უშვებდნენ, რომ ანარქია გაძლიერებულიყო. ბაქოს სომეხთა ეროვნული საბჭო სეიმს სთხოვს ეხლა ენერგიული ზომები მიიღონ სომეხ ჯარის კაცთა გადმოსაყვანად ბაქოდან.

**◆ ხადახლოში დასჭრეს:** ნ. კურატაშვილი, დ. მამაჯანოვი, ალ. ძაძამია, ვანო სამანაშვილი, ნოე მამალაძე, ვარლამ წანურაშვილი, რ. გერმანოზოვი, 2 უკანასკნელი ძმიმედ, დანარჩენი მსუბუქად ლაზარეთში № 51 წვანან.

**◆ განჯიდან საერთო კავშირის** წარმომადგენელი პოპოვი იტყობინება: ყარსიდან და სარაყამიშიდან ჩამოსული დიდძალი ქონება წითელ ჯვრისა და საერთო კავშირის გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა. ამის შემდეგ წითელ ჯვრისა და საერთო კავშირის დაწესებულებათა მუშაობა შეუძლებელია კავკასიის ფრონტზე.

**◆ ხაღნალში მოხალისეობა** კარგად მიდის. საჭიროა ისტრუქტორი, იარაღი, სურსათი და ტანისამოსი.

**◆ კომისარიატზე თავდასხმა.** მარტის 13, დამის 2 საათზე, სომხურ პოლკის 60 ჯარისკაცმა მე-12 კომისარიატის წინ, დიდუბეში დიდი სროლა ასტეხეს. სროლის ხმაზე გამოსულ კომისარს ორი მილიციონერი გარს შემოერტყნენ და იარაღის აყრას უპირებდნენ. ამ დროს გამოჩნდნენ მე-9 უბნის კომისარის მილიციონერები. ჯარისკაცებს ეგონათ, წითელგვარდიელები ხოდიანო და ანდრეევის ქუჩით სადგურისაკენ გაიქცნენ. ორივე კომისარიატის მილიციონერებმა მაშინ დაუწყეს ბუჩა-ბუჩა ჯარისკაცებს ძებნა და 100-დე კაცი დაატუსაღეს.

**◆ გაფიცვის დასრულება.** „ნაბშირაჩ“-ს მაღაროებზე მუშათა გაფიცვა დასრულდა. მუშები საოლქო ცენტრის მიერ შეშუშავებულ პირობებზე დასთანხმდნენ. ახალი პირობებით მუშებს ჯამაგირს იანვრის 1-დან მისცემენ.

**◆ გამოქცეულნი.** მელაზგერტალაშკერტ-კარაკლისის მცხოვრებნი გამოიხიზნენ მისუპადო-იგდირზე. მოსუნში 13000 გამოქცეულია. გამოქცეულებმა სახლები დასწვეს. არსად მათი დასახლება არ შეიძლება. საინტენდანტო სურსათს არ აძლევს მათ.

**◆ პარტიის სასარგებლოდ** ერთი დღის შემოსავალი შემოიტანეს: ვერა გეგეჭკორისამ 20 მან. ბ. ბეწყურიშვილმა 5 მ., ნ. ყავრიშვილმა 25 მან. ან. ყავრიშვილისამ 25 მ.

## ბაქო.

10 მარტს თბილისში მოვიდა ცნობა, ბაქოში დიდი ამბებია მოსალოდნელია. იგი რასაკვირველია ერგნულ ნიადაგზე იქნება აღმოცენებული. ქალაქის ყველა ორგანიზაციებმა, ბოლშევიკების გარდა, გადასწყვიტეს ერთსულოვნად იმოქმედონ.

## საბტრედია

**◆ შუამდგომლობა.** გენ. კარპოვიჩი სთხოვს ამიერ კავკასიის კომისარიატს სადგურიდან 100 საჟენის სიგძის ლიანდაგი, გაიყვანონ.

# გრძანება გათუმის მიხეილის ციხისათვის

§ 1

12, 13, 14 და 15 მარტს, ბათუმის მამაკაცობა, გარდა მაჰმადიანებისა, 18-დან 40 წლამდე უნდა გამოცხადდეს საკრებულოში (ასათიანის და შეპელევსკის ქუჩების კუთხე). თვითეულმა უნდა წარმოადგინოს მოწმობა კომისარებისაგან და ჩაირიცხოს ჯარში ან და ციხის დამცველ მუშათა კომანდაში.

§ 2

თავისუფლდებიან მოსამსახურენი: ფოსტისა, ტელეგრაფისა, რკინის გზისა, ელექტრონის სადგურისა, წყალსადენისა, ქალაქის მილიციისა და ქალაქის სასაკლაოსი, ქალაქის ფურნეებისა, სასურსათო მმართველობისა, ქალაქის საავადმყოფოს, სანიტარულ ურმებისა და ციხის ყარაულები.

§ 8

**ყველა ის პირი, ვინც 15 მარტამდე არ გამოცხადდება, დაპატიმრებულ იქნება**

და სამხედრო-სარეკვიზიციო სამმართველს გადაეცემა.

§ 4

15 მარტიდან ყველა მამაკაცი ვალდებულია იქონიოს წმოდოვანობის მოწმობა, ვისაც არ აღმოაჩნდება, იგი დაუყოვნებლივ იქნება დაპატიმრებული.

ხელს აწერს: კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი და მიხეილის ციხის კომენდანტი, გენერ.-მაიორი მდივანი.

# არეულობა ამიერკავკასიაში

მარტის 14-ს ბაკინის გზების უფროსმა ერევანში ინჟინერ ვეკილოვს დეპეშა გაუგზავნა. გზათა მიმოსვლის კომისარიატის ბრძანებით წინადადებას გაძლევთ ყოველგვარი ენერგიული ზომები მიიღოთ რაც შეიძლება მალე მოძრაობის აღსადგენად უღელტეხილზე.

—

მოძრაობის უფროსი ლიშენი ერევანში პოლკოვნიკ ფირუმოვს დეპეშით ატყობინებს: მოვიდა განცხადება, რომ თქვენ ყარაბალელებს ერ უშვებთ ეროვნებათა შორის საზავო დელეგაციას. გთხოვთ ეს დელეგაცია დაუყოვნებლივ გაუშვათ, რათა რაც შეიძლება მალე ჩამოვარდეს სიმშვიდე ჯულფის რაიონის მცხოვრებთა შორის. მიიღეთ ენერგიული ზომები, რომ ამ ნაწილში მოძრაობა წესიერად სწარმოებდეს.

# ჩრდილო კავკასიაში

## ეკატერინოდარის აღება

მაიკოპის ბოლშევიკურ ორგანო „იზვესტიას“ ცნობით, ეკატერინოდარი უკვე აუდიათ. მისივე სიტყვით, ქალაქის ერთი ნაწილი ბოლშევიკებს ჯერ კიდევ თებერვლის ბოლო რიცხვებში დაუპყრიათ.

## გროზნაში

ალყა შემორტყმულ ქალაქ გროზნამ კავკასიის ლაშქრის საველე დეპეშის უფროსს სთხოვა, რათა ქალაქში უმავთულო ტელეგრაფი გამართოს, ვინაიდან ქალაქი სულ ჩამოშორებულია ქვეყნიერობას და ძველი ტელეგრაფიც მთლად დაზიანდა. რადგანაც ქალაქი დღეს საშიშ მდგომარეობაშია, თერგის საოლქო ყრილობამ სთხოვა თერგის სახალხო საბჭოს, მიიღოს შესაფერი ზომები. ყაზახთა ფრაქციამ ერთ რაზმს დაჰპირდა „საბჭოსთან“ არსებულ შტაბმა დეპეშით მოითხოვა 1-ლ ვოლგუსკის პოლკის გაგზავნა ტყვიისმფრქვეველებით. მან მიჰპირთა სამკურნალო წყლების რაიონს მოუშველებინა ქვეითი ნაწილები ტყვიისმფრქვეველებით. ვოლგუსკის პოლკმა და კისლოვოდსკის სარევოლუციო ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს, მოუმზადებლობის გ


. ნა მხოლოდ აგიტატორების კომისია და მოხალისეთა რაზმი გაგზავნონ.

# შეიხ უზუმ-ჰაჯი-სალტინსკის მიმოდენა

ამით ვატყობინებ ყველა მაჰმადიანს, ქრისტიანს, სომეხს და ებრაელს:

„მე არა ვარ მომხრე წესიერების დამრღვევთა. ახლა მესმის, რომ ჩემზე ავრცელებენ ხმებს, თითქოს მე მტერი ვიყო განათლებისა და განათლებულ ადამიანებისა. მოგახსენებთ, რომ ესენი ისეთი სოციალისტები არიან, ურომლისთაოდაც ცხოვრება შეუძლებელია. კვლავ მესმის, თითქოს მე მოვითხოვდე მათს სიკვდილს. ეს სასტიკი ბრალდებაა, რომელსაც ავრცელებენ სრულიად უცხო პირები. როგორ მოვითხოვდი ამას, როცა მე თვით საჭიროდ ვრაცხ სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების პირები მოვიწვიოთ, რადგანაც სწავლულთა სიმცირეს განვიცდით. ჩვენი ხალხი ვერ იცხოვრებს თუ არ განვითარდა ჩვენში: მედიცინა, ტეხნიკა, სახელმწიფო ხელოვნება და სხ., რასაც ზემოთქმული ნასწავლები აწარმოებენ. მე, როგორც სასულიერო პირი და ღრმად მორწმუნე მაჰმადიანი ვალად ვრაცხ მოუწოდო ჩემს ხალხს იქით, საითაც შარიათი მოუწოდებს. ვაცხადებ, რომ სასტიკი წინააღმდეგი და მოსისხლე მტერი ვარ, ვინც შარიათს წინ ეღობება. ესენი არიან—ვინც შარიათის მომხრეებს უსპობს სასურსათო პაიკებს და აშიმშილებს; ესენი არიან—ვინც ხალხს ეუბნებიან, რომ თავისუფლება ერთია და შარიათი კიდევ სხვა. მე არ მესმის, რა განსხვავებაა საოლქო, ეროვნულ კომიტეტის მომხრეებისა და შარიათის წარმომადგენელთა შორის. მე მაკვირვებს მათი საქციელი ვინც სცდილობს მათში ამბოხების და რდეგვის ცეცხლი აღაგზნოს. მე მივალ, რათა დროზე შეგაჩერო ეს გაუგებრობა და არა

# ბაკინის ბიბლიოთეკა

კომიტეტებთან საბრძოლველად. მე მგონი მივაღწევ მიზანს და ჩვენს შორის დამყარდება ერთობა, თანხმობა და ჩვენ კომიტეტებთან ერთად გვექნება ერთი მიზანი—კეთილდღეობა ჩვენი მხრისა და განმტკიცება ჩვენი სარწმუნოებისა.

## ინგლისელები სპარსეთში

„იტალიადი ისლამის“ პარტიამ მინისტრების საბჭოს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: პრინც სულეიმან-მირზას დაპატიმრებით ინგლისელები არ კმაყოფილდებიან. თავისი ჯარებით ბუშერს აქურობა და ამით სპარსეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს. საჭიროა, მინისტრების საბჭომ ენერგიული ზომები მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია „იტალიადი ისლამი“ სასტიკ ზომების მიღებას არ დაერიდება. პრინც ჯაჰანგირ მირზამ გამოსცა მოწოდება, რომელიც მოუწოდებს ყველა პარტიებს მტერთან საბრძოლველად. თურმეტიდან იტყობინებიან, რომ 150 ინგლისელმა გადალახა საზღვრები ხაფთან 70 ინდოელ სიპაებით, 40 დატვირთულ აქლემით და რამდენიმე ზარბაზნით ქალაქში შეეიდა. ისინი დებინავდენ ქალაქში და მეორე რაზმსაც ელიან. პრინცების სულეიმან მირზას და ისა მირზის დაპატიმრების გამო გარეშე საქმეთა სამინისტრომ მოლაპარაკება გამართა ინგლისურ მისიასთან თეირანში და ლონდონში.

ენზელში მყოფ ინგლისის კონსულმა თხოვნა მიჰმართა მმართველობას, ოთახი დაუთმოს 50 ინგლისელ მეომარს. ბენდერიბასის და სირჯანის გზას აბლეებენ. სხვა და სხვა ადგილებში ტელეფონის სადგურებს ჰმართავენ. ენზელიდან გვატყობინებენ, რომ იქ რუსეთიდან 300 სომხის ვოლონტერი ჩასულა.

## გურია-ქობულეთი-აჭარაში

მარტის პირველს ოზურგეთში ჩავლილი სამი დელეგატი საქართველოს ეროვნულ საბჭოსგან მობილიზაციის ხელშესაწყობად. იმ დამეს მოხდა კრება ყველა პარტიის წარმომადგენელთა გურიის თავდაცვის კომიტეტის მოსაწყობად.

არ გამოცხადდნენ ბოლშევიკები, ესერებმა კი განაცხადეს კრების მიმართა ბოლშევიკებისათვის და ეთხოვნა მათთვის, რათა მიეღოთ მონაწილეობა. მეორე აუცილებელი მოთხოვნილება ესერებისა ის იყო, რომ კომიტეტი ყოფილიყო განსაკუთრებით სოციალისტური და ადგილი არა ჰქონოდათ ნაციონალ-დემოკრატებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთო“,—განაცხადეს ესერებმა, რის შემდეგაც მენშევიკებმა გზა დაულოცეს. ამრიგად შესდგა კომიტეტი უპოლშევიკებოდ და ესერებოდ. გურიაში ჩვენ ჩასვლამდე უკვე დაეწყოთ მუშაობა და ჩვენს დახმარებას არ ჰსაჭიროებდნენ. მთელი ახალგაზდობა, ვინც კი არის ამ ჟამად გურიაში, ჯარში მიდის. მობილიზაციის საქმეში გურიას პირველი ადგილი უჭირავს როგორც მოსალოდნელი იყო.

შემდეგ გადასწყდა გაგზავნილიყო გურულების დელეგაცია ქობულეთში და აჭარაში. დელეგაციის მიზანი იყო გაეგოთ სულიერი განწყობილება მეზობელ ქობულელ-აჭარლებისა გურულთადმი და ეცნობებინათ მათთვის გურულების კეთილმეზობლური განწყობილება მათდამი. დელეგაცია შესდგა გურულების ოთხი წარმომადგენელისაგან და მათის თხოვნით მონაწილეობა მიიღეს დელეგაციაში რაფაელ ჩიხლაძემ (სეიმის წევრი) ვლასა მგელაძემ (მ. გლ. ჯარ. დეპ. საოლქო ცენტრის წევრი) და ირაკლი აპირეჯიბმა (საქართველოს ეროვნ. საბჭოს დელეგატი გურიაში). დელეგაციამ ქობულეთში ჩასვლის უმალ ადგილობრივ ადმინისტრაციას სთხოვა ეცნობებინათ მათთვის გარეშე სოფლის მცხოვრებთათვის, რომ სამშაბათს 6 მარტს ქობულეთში მომხდარიყო კრება მთელი რაიონის მცხოვრებთა წარმომადგენლებისა დელეგაციის მიმართვის მოსასმენლად. დანიშნულ დღეს 1 საათზე გაიხსნა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ჩვენში კარგად ცნობილი მოხუცი ქართველი მაჰმადიანი გულუ ადა კაიკაციშვილი. პირველად კრებას მიმართა სეიმის წევრმა რ. ჩიხლაძემ; აუხსნა ამიერ კავკასიის მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება—შეკვრა ოსმალეთთან საპატიო ზავისა და თუ მოპირდაპირე ამეზედ არ დათანხმდება, დაცვა ომამდე ყოფილ საზღვრებისა ყოველივე საშუალებებით. ბოლოს მოუწოდა კრებას, რომ დელეგაციას ჰსურს გაიგოს თუ რ ს ჰფიქრობს ქობულეთი, საით მიისწრაფვის იგი.

შემდეგ მიჰმართა კრებას ი. რამიშვილმა, მოაგონა კეთილმეზობლური განწყობილება გურულებისა ქობულელებთან და შეეკითხა გურულების სახელით თუ რას ჰფიქრობს ქობულეთი.

ი. ამირეჯიბმა გაუთვალისწინა ყველა ის უბედურება, რომელიც მოსალოდნელია დაატყდეს ქობულეთს თუ მოხდა ომი და ამ ომში ქობულეთი მიიღებს რაიმე მონაწილეობას ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ. მოუწოდა გონიერებისაკენ, რათა გონიერება არის სასარგებლო მათი ცხოვრებისა, ქონებისა და ქვეყნისთვის. არავინ შეაცდინოს იგინი და დალატი არ ჩაადენინონ, თორემ ასეთი გამოსვლა ქობულელებისა იქნება საბედისწერო.

ვლ. მგელაძემ განუმარტა თუ რა წყობილებას გაამეფებს ოსმალთა შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში და რომ ქობულელებს მოელით დაკარგვა მოპოვებულ თავისუფლებისა, ამიტომაც მოუწოდა ქობულელებს დაირაზმონ საერთო დემოკრატიულ დროშის ქვეშ, რათა შესაფერი პასუხი მისცენ თავისუფლების მტრებს.

**თავმჯდომარე.** (მიმართავს კრებას). მეგობრებო! ჩვენ ვართ ქართლოსის შვილები. 200 წელია, რაც მოწყვეტილი ვართ დედა საქართველოს. ჩვენი წინაპრები ბევრი აწამეს რუსულსათვის, საბედნიეროდ, შეგვრჩა ჩვენი მშობლიური, ქართული ენა. ეს ენა ჩვენ ისევ მტკიცედ გვაერთებს ჩვენს მეძძე ქრისტიან ქართველებთან. ამათ დიდი ამაგი მიუძღვით ჩვენზე, მაგრამ ჩვენ ენლა უხერხულ მდგომარეობაში ვართ ჩაცვენულნი. წინანდელ ომის დროს ჩვენგან ბევრი გარდაიხვეწა ოსმალეთში. მუსაჯირები ჩვენი ძმები და ნათესავები არიან. მართალია, ჩვენ არ გვინდა მათი მოსვლა, მაგრამ ვერც თოფს ავიღებთ მათ წინააღმდეგ. ქართველების ჯარს ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ყოველი მხრით, მაგრამ იარაღით დახმარებას ვერ დავპირდებით. ჩვენ დავეხმარებით მათ რკინის გზის დაცვაში, ბარგის გადაზიდვაში. ამავე დროს თუ ჩეტნიკებმა ცარცვა და აწიოკება დაგვიწყეს, ქართველებმა უნდა დაგვიცვან.

**დამსწრე.**

(შემდეგი იქნება)

# ამიერ კავკასიის სეიმი

### მარტის 13 სხდომა

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

**დღის წესრიგი:**

1) მთავრობის მოხსენება საზავო მოლაპარაკების შესახებ. 2) მთავრობის შეკითხვა ლეჩხუმში მომხდარ ამბების გამო. 3) ახლად შემდგარ მთავრობის დეკლარაცია და 4) განხილვა იმ მოწოდების ტექსტისა, რომლითაც ამიერ-კავკასიის სეიმი მიმართავს გლეხობას.

მდივანი კანტემიროვი, წესრიგის უკამათოდ დამტკიცების შემდეგ მოახსენებს დამსწრეთ მცირე მნიშვნელოვან საკითხების მთელ რიგს, რომელთაც სეიმი უკამათოდ იღებს.

**მთავრობის მოხსენება საზავო მოლაპარაკების მსვლელობაზე**

პრემიერ მინისტრი ევგ. გეგეჭკორი აცნობებს სეიმის წევრებს საზავო კონფერენციის სხდომებს. დაიწყო მისასალმებელ სიტყვებით. გეგეჭკორი აღნიშნავს, პირველ სხდომაზე მისალმების შემდეგ ორივე დელეგაციამ გამოაცხადა დელეგატთა სია და დადგინა, რომ მანდატები განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას გადასცემოდა. დამტკიცების შემდეგ ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარემ წაიკითხა შემდეგი განცხადება: „ოტომანთა სამპერატორო მთავრობის დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს, რომ მთავრობას აქვს წრფელი განზრახვა დამყაროს კეთილმეზობლური განწყობილება რესპუბლიკასთან, რომელიც ამიერ-კავკასიაში შექმნის პროცესში იმყოფება. ოტომანთა დელეგაცია სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას წარმოადგინოს დაწვრილებითი დეკლარაცია. თუ რა ნაირია ფორმა პოლიტიკური და ადმინისტრატიული ორგანიზაცია ზემოხსენებული რესპუბლიკისა, ამასთანავე ერთად კითხულობს—გაკეთებულია თუ არა ყველაფერი, რაც საერთაშორისო უფლების ძალით საჭიროა სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად“.

მეორე სხდომა დაიწყო (მარტის 22) ა. ი. ჩხენკელის განცხადებით, შესახებ იმისა, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს თავმჯდომარეობა. ამასთან ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ტრაპიზონი არჩეულ იქმნა როგორც ნეიტრალური პუნქტი. ამაზე რაუხ-ბეიმ უპასუხა, რომ ქალაქიდან ჯარების წასვლის შემდეგ იგი ნეიტრალურად აღარ ჩაითვლებოდა. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ჩვენი დელეგაცია თავმჯდომარეობას ოსმალეთის დელეგაციას უთმობს.

ამის შემდეგ ჩხენკელმა წაიკითხა განცხადება იმ შეკითხვის გამო, რომელიც ოსმალეთის დელეგაციამ მისცა. სახელდობრ: რანაირია შინაგანი წესწყობილება ამიერ-კავკასიისა და მისი უკანონოდ—პოლიტიკური მდგომარეობა. ჩხენკელმა განუმარტა ოსმალეთის დელეგაციას, რომ ბოლშევიკების გამბატონების შემდეგ ამიერ-კავკასია ჩამოშორდა რუსეთს, შეჰქმნა დამოუკიდებელი მთავრობა და ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოც არ არის ამიერ-კავკასიისათვისო.

ჩხენკელის განცხადების შემდეგ ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარემ მუხლობრივ გაარჩია განცხადება. მას სხვათა შორის აინტერესებს ის, თუ როგორ ესმის ჩხენკელს თავისუფალი გამოხატულება ამიერ-კავკასიის ერთა ნებისყოფისა. ჩხენკელს უხერხულად მიაჩნია ამნაირი საკითხების დასმა, რადგანაც ეს ჩვენი შინაური საქმეა. ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე განმარტავს, რომ მას აზრად არა აქვს სხვის შინაურ საქმეებში ჩაერიოს, როგორც ითითონ არ მისცემს არავის ნებას ჩაერიოს ოსმალეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ მას მაინც საჭიროდ მიაჩნია იცოდეს, რანაირია შინაგანი ორგანიზაცია ამიერ-კავკასიისა. ჩვენი დელეგაციის დამოუკიდებლობის კვლავ აღნიშნავს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ამ საკითხე პასუხის გაცემა, მაგრამ, თუ ოსმალეთის დელეგაციას ჰსურს იცოდეს, რანაირია შინაგანი წყობილებაა ამიერ-კავკასიისა, იგი აზად არის ეს ცნობები მისცეს კერძო თათბირზე. ოსმალებს იმდენად აინტერესებთ ეს საკითხი, რომ თავმჯდომარე მეორე სხდომას კონფერენციისას ჰხურავს და აცხადებს კერძო თათბიროს.

მესამე სხდომაზე გამოირკვა ის, თუ რომელი მხარე რანაირის თვალსაზრისით უცქერის ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებას. ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარეს საჭიროდ მიაჩნია მოლაპარაკების არსებითად გამართვამდე, ზოგიერთი ადგილები ჩვენი დელეგაციის განცხადებისა გამოირკვეს. ასე, მაგალითად, ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ რუსეთში, ამიერ-კავკასიაში გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, პასუხისმგებელი ამიერ-კავკასიის სეიმის წინაშეო. ოსმალეთის დელეგაცია სთხოვს ჩვენს დელეგაციას, **გამოარკვიოს ამიერ-კავკასიის ტერიტორიის საზღვრები.** ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა, ამიერ-კავკასიის მთავრობა, თავისთვის სავალდებულოდ არა სთვლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასაო. ოსმალეთის დელეგაცია აცხადებს, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება სავალდებულო არ არის შესაძე სახელმწიფოსათვის, მაგრამ ამისთვის საჭიროა ამნაირმა სახელმწიფომ მიიღოს ზომები, რათა იგი შეიქმნას, თანახმად საერთაშორისო უფლებისა და ამასთანავე ერთად საჭიროა მისი დამოუკიდებლობა აღიარებულ იქმნას სხვა სახელმწიფოთა მიერ. ამიერ-კავკასიის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროსაც კი არ მიიღო ზომები, რათა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა აღიარებულ ყოფილიყო სხვა სახელმწიფოთა მიერ. ამ აზრის დასამტკიცებლად ოსმალეთის დელეგაციას მოჰყავს ეგეგნი გეგეჭკორის დეპეშა, რომელშიაც იგი ამბობს, ამიერ-კავკასია განუყოფელი ნაწილია რუსეთის რესპუბლიკისა და ამიტომ, საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ ერთეულებსაო. ამიერ-კავკასიამ მონაწილეობა არ მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში, როგორც მოიქცა უკრაინა. ესეც იმას ამტკიცებს, რომ ამიერ-კავკასიას თავის-თავი რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. მიუხედავად ყველა ამისა, რომ დღემდის ამიერ-კავკასიაში ხელოვნურ რუსის ჯარი იყო. ჩვენ მანც განვაცხადეთ სურვილი ამიერ-კავკასიასთან საზავო მოლაპარაკების გაართვასა, რა წამს გავიგეთ, რომ ამიერ კავკასიას ჰსურს დამოუკიდებლობის შეტანაო,—განაცხადა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ.

ამის შემდეგ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ შემდეგი წერილობითი განცხადება წარუდგინა ჩვენს დელეგაციას:

„ოტტომანის სიმპერატორო დელეგაცია ამიერ-კავკასიის დელეგაციის დეკლარაციას გაეცნო და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს დელეგაცია არჩეული ყოფილა სეიმის მიერ, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს ფორმაცია არ შეესაბამება საერთაშორისო საჯარო უფლებას და რომ ამ სახელმწიფომ ჯერ დეკლარაცია არ გამოსცა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ, ოსმალეთის მთავრობას გულწრფელადა ჰსურს ამიერ-კავკასიის ერთა თავისუფალი განვითარება, აზრად აქვს კეთილი განწყობილება დაამყაროს ამიერ-კავკასიის ერებთან და სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას, გამოაცხადოს და გამოარკვიოს ოფიციალური ფორმა მთავრობისა, ტერიტორიის საზღვრები, სახელმწიფოებრივი ენა და სარწმუნოება; ამასთანავე ერთად სთხოვს გამოარკვიოს, რანაირი პოზიცია უკავია ამ მთავრობას ოსმალეთის იმპერიისადმი“.

მეოთხე სხდომა დაიწყო (მარტის 7) ჩხენკელის განცხადებით. მან აღნიშნა, რომ „ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ფორმალურად არ არის საბალდებულო და არსებითად მიღებულია ამიერ-კავკასიისთვის.

ხელშეკრულება მიღებულია რუსეთის მიერ ისეთს მომენტში, როდესაც ის იყო (და აქამდინაც არის) სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული. როდესაც იქ არ არსებობდა მთლიანი ცენტრალური მთავრობა და როდესაც ერთერთი გამომხატველი რუსეთის ერთი სუვერენულ ნებისყოფისა—დამფუძნებელი კრება—გარეკილი იყო.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, როგორც ეს უკვე განაცხადა ამიერ-კავკასიის დელეგაციამ თავის დეკლარაციაში 2 მარტს, მის ტერიტორიაზე ცენტრალურმა მთავრობამ შესწყვიტა თავის მოქმედება დღიდან ბოლშევიკების აჯანყების დაწყებისა და მის მაგივრად იქ დაწესდა დამოუკიდებელი მთავრობა ამიერ-კავკასიისა.

ამ ფაქტს ოტომანის მთავრობაც აღიარებდა, როდესაც მან 1 იანვარს თავის სამხედრო სარდლის პირით წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის მთავრობას საზავო მოლაპარაკება დაეწყოთო და მას დამოუკიდებელს უწოდებდა. შემდეგ 15 იანვარს ოტომანის მთავრობამ კვლავ მიმართა წინადადებით ამიერ-კავკასიის მთავრობას ბრესტ-ლიტოვსკში დელეგატები გაგზავნეთო და იქვე ჰპირდებოდა, რომ ცენტრალური სახელმწიფოების დელეგატები, ბრესტ-ლიტოვსკში შეკრებილნი, მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა სცნონ ამიერ-კავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობაო.

ოტომანის დელეგაციამ მოიხსენია ამიერ-კავკასიის თავმჯდომარის დეპეშა 1918 წლის 23 იანვრის გამოგზავნილი, სადაც ნათქვამია, რომ ის აუცილებლად სთვლის შეუთანხმოს თავის მოქმედება რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ ერთეულების მოქმედებასა და აქტებს; მაგრამ მას დაავიწყდა ის საპასუხო დეპეშა ოტომანის მთავრობისა 1918 წლის 10 თებერვალს გამოგზავნილი, რომელშიაც ოტომანის მთავრობა აუწყებს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ ის აზად არის თავისი დელეგატები გაგზავნოს „ზავის საბოლოო პირობების“ გამორკვევით და „საზავო ხელშეკრულების“ ხელმოსაწერათ. აქედან ცხადია, რომ ოტომანის მთავრობა ბ. გეგეჭკორის დეპეშის შემდეგაც სცნობდა ამიერ-კავკასიის მთავრობას დამოუკიდებლად და ერთად-ერთ სრულუფლებიანად ოტომანის მთავრობასთან ზავის შეკვრაში.

ამიერ-კავკასიის სეიმის და მთავრობის თავმჯდომარეთა პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ამიერ-კავკასიას შეეხება, დეპეშით იყო გამოგზავნილი საზავო პირობების ხელის მოწერამდე.

დასასრულ, თვით ფაქტი ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის დელეგაციათა შეხვედრისა ტრაპიზონში იმის საჩვენებლოდ დადადებს, რომ ორივე მხარეს ერთნაირად ჰქონდა შეგნებული კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა და ერთნაირადვე არ აძლევდენ მნიშვნელობას ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებას.

ამის გამო ოტომანის დელეგაციის დასკვნა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის იმ ნაწილს საგალდებულო ხასიათის შესახებ, რომელიც ამიერ-კავკასიას ეხება ურიდიულად უსაფუძლოა და სრულებით არ გამომდინარეობს იმ მოლაპარაკების ხასიათიდან, რომელმაც ჩვენ ტრაპიზონში მოგვიყვანა.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია თავის მოვალეობათ სთვლის განაცხადოს, რომ მოლაპარაკების მთავარი ძარღვი ფორმალურ იურიდიულ დავაში კი არ არის, არამედ არსებით ნაწილში,—მით უმეტეს, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს დადებული სახელმწიფო ამიერ-კავკასიისა, რასაკვირველია, შეასრულებს ყველა იმ ფორმალობას, რომელსაც საერთაშორისო უფლება მოითხოვს.

ამიტომ ამიერ-კავკასიის დელეგაცია დროულად და აუცილებლად სთვლის დაუყოვნებლივ შეუდგეს იმ კონკრეტიულ წინადადებათა განხილვას, რომელიც ორივე დელეგაციის აზრით საფუძველად უნდა დაედოს მტკიცე ზავს ოტომანის და ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს შორის.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ ფორმას ეხება იმუშავებს ამიერ-კავკასიის სეიმი. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დამყარდება დემოკრატიული, ფედერატიული რესპუბლიკა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს ტერიტორიას შეადგენს გუბერნიები: ბაქოს, განჯის, ერევნის, თფილისის და ქუთაისის; ოლქები: ბათუმის, ყარსის, სოხუმის და ზაქათალის; დაღესტანის ოლქისა შავი ზღვის გუბერნიის შესვლის საკითხი ამ კავ. სახელმწიფოში ჯერ ღიად არის, ვიდრე ისინი თავის წარმომადგენლებს არ გამოგზავნიან ამიერ-კავკასიის სეიმში.

ოფიციალურ ენად ჯერ ხანობით რჩება რუსული; მაგრამ დელეგაციას შეუძლია სთქვას, რომ ის კონსტიტუცია, რომელიც ეხება მუშაობებს, სახელმწიფოებრივ ენებად აღიარებს: ქართულს, სომხურს და თურქულს.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში მოქმედებს კანონი სინდისის თავისუფლების შესახებ; კონსტიტუცია, რომელსაც სეიმი იმუშავებს, უეჭველად გამოჰყოფს ეკლესიას სახელმწიფოსაგან და მოსპობს მართმადიდებელ ეკლესიის ბატონობის ნაშთებს.

ამიერ-კავკასიამ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო სამმარი მდგომარეობა რუსეთსა და ოსმალთა შორის თავის საზღვრებზე, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობით დამთავრდა (ხოლო მის შინაარსმა ამიერ-კავკასიის შესახებ ამიერ-კავკასიის მთავრობის პროტესტი გამოიწვია),—ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს გამართული ოსმალეთთან, რათა ამ ომის შედეგების ლიკვიდაცია მოახდინოს და მტკიცე ზავი ჩამოაგდოს მასთან.

## ზავის საკითხის განხილვა

**ნოე რამიშვილი.** ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე აშკარათ გამოირკვა ორი ხაზი, ერთია ხაზი ჩვენი დელეგაციისა, რომელიც მტკიცეთ ადგია სეიმის მ ერ მიცემულ დირექტივებს, მეორე ხაზია ოსმალეთის დელეგაციის, რომელიც დგას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. ამიერ-კავკასიის სეიმმა უარჰყო და შემდეგშიაც უარჰყოფს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ ხელშეკრულებას ჩვენთვის სავალდებულო ძალა არა აქვსო. ამიერ-კავკასიის მთავრობა ფაქტიურათ დამოუკიდებელი იყო სახალხო კომისართა საბჭოდან. ამას ოსმალეთიც სცნობდა. მის მთავრობამ მიმართა ამიერ-კავკასიის მთავრობას, როგორც დამოუკიდებელს. რა შეიცვალა ამის შემდეგ? ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ჩვენ მოგვწვიეთ სეიმი. ფაქტიურათ ჩვენ დამოუკიდებელი ვართ. ეს განაცხადა კიდეც აკ. ჩხენკელმა. ამის შემდეგ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ორი აზრი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას არ შეუძლია სავალდებულოთ მიიღოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. მაგრამ წამოიყენეს საკითხი დამოუკიდებლობისათვის შესაფერი ფორმის მიცემის შესახებ. ეს გულისხმობს უცხო სახელმწიფოთა, კერძოთ ოთხთა შეთანხმების თანხმობას სამშვიდობო მოლაპარაკების დღევანდელ მდგომარეობის დროს დამოუკიდებლობის გამოცხადება იქნებოდა ოსმალეთის მთავრობისადმი განსაზღვრული მოთხოვნილების წაყენება, ვინაიდან დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის საზღვრებში უნდა მოჰყვეს ყარსისა და ბათუმის ოლქებიც. ეს ოსმალეთის მთავრობას არ უნდა. თუ ოსმალეთს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ბუფერი, მან ხელი უნდა აიღოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე. ჩვენ მივისწრაფით საპატიო ზავისაკენ. ეს გარემოება გვიკარნახებს ჩვენი სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი ადეჭურვოთ საგანგებო უფლებებით, რომლითაც სარგებლობს ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე. მას უნდა მიეცეს დათმობის და ახალი საკითხების წამოყენების ნება, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ჩვენი ინტერესების წინააღმდეგი. მხოლოდ ყოველივე გადაწყვეტილებამ დასტური უნდა მიიღოს სეიმისაგან. და სრულებითაც არ მოითხოვს ოსმალეთის ინტერესები ჩვენს ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომ ჩვენ მოუწოდოთ ყველა ძალებს მეორე მონოლი თავიდან ასაშორებლათ. ჩვენ არ დავუთმობთ; ამას ამტკიცებს მთელი ჩვენი ისტორია და ამის თავდებია ის სულიერი განწყობილება, რომელიც ჰრსებობს ჩვენს პროვინციებში და მობილიზაციის კარგათ ჩატარება. დასასრულ ორატორს საზავო კომისიის სახელით შემოაქვს წინადადება აღეკვეთოს სეიმმა სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი საგანგებო უფლებებით და მიეცეს მას ნება გადასდგას დამოუკიდებელი ნაბიჯები საპატიო ზავის ჩამოსაგდებათ.

წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული.

## ლეჩხუმის ამბები

**ლორთქიფანიძე** (ს. რ.) ჩვენი პარტია ყოველთვის ებრძოდა და ეხლაც ებრძვის „ანარქიულ გამოსვლებს და ამიტომაც ჩვენი ფრაქცია მუდამ მხარს მისცემს იმ მთავრობას, რომელიც ასეთ ანარქიულ მოძრაობას შეებრძოლება. მთავრობა უწესრიგებასთან ბრძოლაში დაუხლდომელი უნდა იყოს და ერთგვარად მოსხრეც უნდა იყოს დევიზისა: მიზანი საშუალების გამამართლებელია, მაგრამ საშუალებაც არის და საშუალებაც. მოსახმარია მხოლოდ ისეთი საშუალება, რომელიც თვით მიზანს არ ეწინააღმდეგება.

რა მოხდა ლეჩხუმის მაზრაში? რაც იქ უწესრიგობა დაიწყო, გზა დახშულია და რაიმეს გაგება შეუძლებელი გახდა. მაგრამ არის ორი ვერსია. ერთი ის, რომ სულგანთა ერთმა ნაწილმა მოახდინა განმეორებითი არჩევანი ყველა კომიტეტისა ამ მაზრაში. მეორე ვერსიით კიდევ ამბობენ, რომ ხალხში დიდი უკმაყოფილება იყო ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტისა, რაზეც გამოიწვია ხელმეორე არჩევნები და უნდობლობის გამოცხადება სამაზრო აღმასრულებელ ორგანოსადმი.

შედეგად ამისა იყო ის, რომ მთელი მაზრა გუბერნიის კომისარმა კაჩუხოვმა კანონ გარეშე გამოაცხადა. მაგრამ ვიდრე მთავრობა ასეთ მკაცრ ზომას მიმართავს, საჭიროა საქმის არსებითად გაცნობა, წინასწარ აწონდაწონვა და მერე ზომების მიღება.

კაჩუხოვის ბრძანება, როგორც თქვენ დარწმუნდებით, არც ფორმით და არც არსებითად დემოკრატიული არ არის. კაჩუხოვი ბრძანებაში სწერს, რომ ხაზინას და ყოველგვარ დაწესებულებას, აგრეთვე მეზობელ მაზრების ორგანოებს ეკრძალებათ კავშირი იქონიონ ამ მაზრასთან, ებრძანებათ ყველგან გზების შეკვრა, რადგან **მთელი მაზრა, როგორც კონტრ-რევოლიუციონური, კანონ გარეშეა გამოცხადებული.**

მე პირადად მომხრე ვარ მეორე ვერსიისა და ვაცხადებ, რომ საზიარო თავდებობის დროს ჩაილურის წყალი დალია, ამისთვის შეუძლებელიცაა მთელი მაზრის კანონ გარეშე გამოცხადება, მით უფრო რომ ლეჩხუმის მაზრის უმრავლესობა კონტრ-რევოლიუციონური კი არ არის, არამედ რევოლიუციონურია და დიდი მოსურნეა სარევოლიუციო წესი იქმნას მაზრაში განმტკიცებული.

ასეთ ბრძანებით საქმე არ გარიგდება და შეუძლებელიცაა, როცა გორის და თელავის ხალხს, ხულგნებისგან შეწუხებულს, დახმარება გგზავნება, ლეჩხუმელებთან არავის უშვებენ, გზებს ჭრავენ, მაზრას კონტრ-რევოლიუციონურად აცხადებენ.

კანონ გარეშე გამოცხადებას სწორედ ის ანარქია მოჰყვება, რომელსაც თქვენ ებრძვით. გახსენეთ როცა ბოლშევიკებმა სახალხო თავისუფლების პარტია კანონ გარეშე გამოცხადეს, ამას მოჰყვა შინგარიოვის და კოკოშკინის მკვლელობა. ცნობილი მარკოვი მკვლელებს, თუ მათ ადმოაჩენდნენ, დაცვას აპირებდა. რად? იმიტომ, რომ მკვლელები კანონიერების ნიადაგზე იდგნენ და კანონ გარეშე გამოცხადებულ ხალხს სდევნიდნენ. ლეჩხუმშიაც ანალოგიური მოვლენა მოსალოდნელია. მე თითონ ვნახე რამდენიმე სვანი, რომელიც იმუქრებოდა: ლეგან დადეშქელიანის სისხლს უეჭველად ავიღებთო. ვისზე უნდა აიღონ? იმათზე ალბად, ვინც კანონ გარეთაა გამოცხადებული.

მე პირადად მოქალაქე კაჩუხოვს არ ვიცნობ. მაგრამ საჭიროდ კი მიმაჩნია, რომ მეორე თანამდებობაზე და ისიც წარმატებით ისეთი პირი არ დაინიშნოს, რომელიც ერთ თანამდებობაზე შეუფერებელი აღმოჩნდა. ეს ძველი

მთავრობის ჩვეულება და პრაქტიკა. ახალ მთავრობას ასეთ ჩვეულების სრული დაფიწყება უნდა მოვიხოვოთ და გამოუსადეგარ ხალხს წარმატება კი არ უნდა მივცეს,—არამედ საშსახურიდან უნდა გადაყენონ.

(ხმები: რა ფაქტები გაქვთ კაჩუხოვის საწინააღმდეგო?)

მე ვეყრდნობი თქვენი ამხანაგების (მიუბრუნდება ს.-დემოკრატებს) სიტყვებს. (ხმები: რომელ ამხანაგებისა?) მათ გინდ ეხლაც კათედრიდან დაგისახელებთ, გინდ კერძოთ, რომელთაგან გამიგია, რომ კაჩუხოვის, როგორც მილიციის უფროსის, თბილისში კმაყოფილნი არ არიან.

დაბოლოს მე ვეკითხები მთავრობის თავმჯდომარეს და შინაურ საქმეთა მინისტრს, იციან თუ არა მათ ლეჩუმის ამბები და რა ზომებია მიღებული.

**გიორგაძე.** (ს. დ.) ქუთაისის ორგანიზაცია ესაერებისა ლორთქიფანიძის განცხადების წინააღმდეგ—თვალსაზრისზე სდგას. ასე რომ მისი განცხადება ერთგვარი მობილიზებაა ქუთათურ ამხანაგების მაგვარ. მაგრამ მე ვეკითხები ლორთქიფანიძეს: იცის თუ არა მან, რომ ქუთაისის ორგანიზაცია მობილიზაციის წინააღმდეგია, რომ იგი ეწინააღმდეგება მიწის საკითხს?

ვითარება ლეჩუმის მაზრისა მენშევიკებმა ქუთაისში მშვენივრად იცოდნენ. მიწის მფლობელთა ერთმა ნაწილმა ამ ერთი წლის წინად მოჰკლა შანშე გელოვანი და მისი მკვლელები დღესაც თავისუფლად დათარეშობენ ლეჩუმის მაზრაში. როცა მიწის მფლობელებთან დაბრუნდნენ ჯარისკაცები, მათ მოაწყეს ორგანიზაცია, რომლის მიზანია არსებულ წესიერების შერყევა და სარევოლიუციო ორგანიზაციებთან ბრძოლა. ასეთ ორგანიზაციის საქმე იყო ჩვენი აბხანაგის—მაზრის კომისრის ლევან დადეშქელიანის მოკვლა.

კანონ გარეშე გამოცხადება და ასეთ განსაკუთრებულ ზომების მიღება საჭირო იყო იმისთვის, რომ ხალხმა გაიგოს, რაში არის იგი დამნაშავე და რად დაატყდა მას ასეთი უბედურება.

ინტერპარტიული კომისია არ შეუშვით იმიტომ, რომ იგი შესდგებოდა ბოლშევიკებისაგან, რომელნიც ყველგან ანარქიას ამტკიცებენ და იმ ეერებისაგან, რომელნიც მობილიზაციას ეწინააღმდეგებიან და მიწის რეფორმას, სეიმისაგან 7 მარტს მიღებულს, ებრძვიან. შესაძლებელი იყო ასეთ ხალხის იქ გაშვება?

თქმა: „კანონ-გარეშე“ შეიძლება რედაქციულად უხერხულად არის ნახმარი, მაგრამ არსებითად ეს თქმა ნიშნავს მხოლოდ ანარქიასთან ბრძოლას.

**ნ. რამიშვილი.** მენშევიკების ფრაქცია წინადადებას აძლევს ყველას, ვინც კი რამე ფაქტი იცის ქუთაისის საგუბერნიო კომისარის გამოუდეგრობისა, განაცხადონ ეს და მთავრობაც და ჩვენი ფრაქციაც ამას მხედველობაში მიიღებს.

**ნ. ჭარცივაძე.** შინაურ საქმეთა კომისრის თანაშემწე, მოახსენებს სეიმს, რომ მთავრობას ლეჩუმის ამბების გამო არავითარი ცნობა არ მიუღია. რა მიიღებს, დაუყოვნებლივ მოახსენებს სეიმს.

**ლორთქიფანიძე.** მოვითხოვ, რომ შეკითხვა ვადიანი იყოს.

მე ვაცხადებ, რომ კაჩუხოვის ცნობა მე არა მაქვს, მაგრამ ვაცხადებ, რომ ამ პირის გარშემო აქაც და იქაც იქნება არა სასურველი განწყობილება და ურთიერთობა. როდესაც ადმინისტრატორს არც გავლენა აქვს და არც პოპულიარობა. იგი იმ თანამდებობას არ შეეფერება. რატომ გიორგაძის წინააღმდეგ არ ამხედრდნენ და რატომ ქუთათური ეს-ერები მოითხოვენ გიორგაძის კვლავ დაბრუნებას?

შემდეგ ახალი მთავრობის შემადგენლობას მოახსენებს სეიმს, კაბინეტის თავჯდომარე ეგვენი გეგეჭკორი.

სხა მინისტრებისა ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა ახალ ამბავად.

შემდეგ გეგეჭკორი კითხულობს მთავრობის დეკლარაციას.

შემდეგ სეიმი იღებს ასეთ რეზოლიუციას: „მოისმინა რა მთავრობის დეკლარაცია, რომელსაც ამიერ-კავკასიის ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტია და ერი შეადგენს, სეიმი აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას დეკლარაციის ცხოვრებაში გასატარებლად და გადადის მორიგ საქმეებზე.

ბოლოს ონიაშვილის წინადადებით სეიმი ადგენს მიწის საკითხის გამო გამოსცეს მოწოდება სამ ენაზე, რის შერე სეიმის სხდომა სრულდება.

## მთავრობის დეკლარაცია

ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომაზე 13 მარტს მინისტრ-თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორმა შემდეგი დეკლარაცია წაიკითხა:

„მოქალაქენო:—სეიმის წევრნო! თქვენ მე მომანდეთ ახალი კაბინეთის შედგენა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სეიმის წინაშე. შევასრულე რა თქვენი დავალება, პატივი მაქვს ახლათ არჩეულ მთავრობის სახელით გაგაცნოთ ყველა ის დებულებები, რომელებითაც იხელმძღვანელებს ამიერ-კავკასიის მთავრობა თავის მოქმედების დროს.

საზოგადო მოქმედების მიზანი თქვენ უკვე იდუნაშნეთ მთავრობას თქვენი დადგენილებებით.

ერთ ამ უმთავრეს მიზნათ მთავრობა სთვლის ოსმალეთთან მკვიდრი ზავის შეკვრას და კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულების დამყარებას. ამიერ-კავკასიის ერები სცხოვრენ მხოლოდ ორივე მხრისთვის საპატიო ზავს და მთავრობაც სხვა გვარ ზავის პირობებს არ წარმოგიდგენთ თქვენ, სეიმის წევრნო, ხელის მოსაწერათ.

მთავრობა—ეღვიძრებს, რომ სეიმის მიერ შემუშავებულ ზავის შეკვრა ამიერ-კავკასიის ერთაგან დიდ ძალის მოკრებას და დიდ ახალ მსხვერპლს მოითხოვს, რადგან საპატიო ზავის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც ნაზათ არის იარაღით ხელში პასუხი გასცეს მოსულ მტერს, რომელსაც უნდა შეეხოს მის ტერიტორიას და ცხოვრების ინტერესებს.

როცა მთავრობა დაყრდნობილი იქნება ხალხის გადაწყვეტილებაზე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცოს თავის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ის ყოველივე ღონეს იხმარს შედგარი პასუხი გასცეს ყველას, ვინც ამიერ-კავკასიის ერთა ღირსება-პატივსნებას შეეხება.

მთავრობის მეორე მიზანია ამიერ-კავკასიის ყველა ერთთავის განამტკიცოს ყოველივე ის, რაც რევოლიუციამ მოიპოვა.

უნდა ძირიანად აღმოიფხვრას ფეოდალური ურთიერთობის ყოველივე ნაშთი, რომელიც ჰპოპავს ამიერ-კავკასიის ერთა განვითარებას. ამიტომ მთავრობა ყოველივე საშუალებას იხმარს სეიმის მიერ გამოცემული კანონი ყველა მიწების უფასოთ მშრომელ ხალხზე გადაცემის შესახებ, რაც შეიძლება დაჩქარებით და უნაკლულოთ გატარებულ იქმნას ცხოვრებაში.

ამასთან უნდა გაფმჯობესებულ იქნას პროლეტარიატის მდგომარეობა და შექმნან შრომისა და კაპიტალს შორის ბრძოლის ახალი უფლებრივი ფორმები. მთავრობა ეცდება შრომის ყოველ მხრივ დაცვას, კერძოთ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, შრომის ფასის მინიმუმის დაწესებას და ფართო სოციალურ დაზღვევის შემოღებას, ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვა და შობიარეთა მფარველობა.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ აგრარულ საკითხის გადაჭრით და შრომის პირობების გაუმჯობესებით რევოლიუციის განმტკიცებაა, ამაგე დროს საუკეთესო საშუალება იქნება ანარქიის ასალაგმავათ და მთელ მხარეში სამეურნეო ცხოვრების ასაყვავებლათ.

მესამე მიზანი არის მართვა-გამგეობის აპარატის გაუმჯობესება.

უპირველეს ყოვლისა მთავრობა შეუდგება გაამარტივოს და გააიაფოს მართვა-გამგეობა ძველი დაწესებულებების გაუქმებით და მოსამსახურეთა შტატების შემცირებით, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

შემდეგ მთავრობა წარმოუდგენს სეიმს განსახილველათ სხვა და სხვა ზომებს, რომლებიც მისცემენ საბჭოთა საშუალებას.

მთავრობა დაუყენებს სეიმს საკითხებს: იმ საშუალების შესახებ, რომლითაც კერძო პირთა ხელში მოგროვილი ფულები ხაზინაში შევიდეს, საბჭოთა სალარო-ში იყოს მთელი დაზოგილი ოქრო და ვერცხლი, რომ შესაძლო იქნეს შექმნათ საკუთარი რეალური ფულის სისტემის საფუძველი. რომ მასიურ სახმარ საგნებზე საბჭოთა მონოპოლია იქნეს დაწესებული, როგორც მაგალითად: პურზე, ნავთზე და სხვა. მოხდეს ზოგიერთ დარგების ნაციონალიზაცია. დაწესდეს ბანკებზე. საბჭოთა კონტროლი. ძალდატანებით მათ გაერთიანების გზით, ყველა ტარიფების და გადასახადების სისტემის გადასინჯვა და მათი გადიდება ღარიბთა ინტერესების მიხედვით.

მაგრამ ყველა ამ ზომების განხორციელება მხოლოდ მაშინ მიგვეცემა სასურველ ნაყოფს და საშუალებას მისცემს მთავრობას გაამართლოს ამიერ-კავკასიის ერთა მოლოდინი, უკეთუ მის ხელში იქნება რეალური ძალა, რომ ყველა ბოროტ გამოვლენას შეს ფარ წინააღმდეგობა გაუწიოს. ისეთ გამოსვლების დროს, როცა რევოლიუციას და მთელი ხალხის დემოკრატიას დაღუპვა მოელის, მთავრობა არაფრის წინ არ დაიხევს. და რომ მთავრობამ შეიძლოს ასეთი ბრძოლის გაწევა, მას უნდა შეიარაღებულ ძალის ყოველი საშუალება ჰქონდეს.

რეალური ძალის შექმნა, რომელიც სეიმის პირით მთელი ამიერ-კავკასიის საერთო ნებას დარაჯათ დაუდგება, მთავრობის მეოთხე მიზანს შეადგენს.

ამ მიზნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ქვეყნის შეიარაღებული ძალა, რომელიც ეხლა დაქაოსებულია სხვა და სხვა ეროვნულ საბჭოებში და სხვა ორგანიზაციებში, პირდაპირ დაემორჩილება მთავრობას, რომელიც ყველა ერთა მიერ აღიარებულია და რომლის ხელშიაც არის მთელი აღმასრულებელი ძალა.

ამ ზომას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთავრობა, რადგან თუ ის არ იქნა განხორციელებული, ისე შეუძლებელი იქნება უზრუნველყოთ მთელი ქვეყანა გარეშე საფრთხიდან. ავლაგმოთ დაწლუპველი ანარქია და ჩამოვაგდოთ მტკიცე ზავი. ამ ზომის განხორციელებას წინ ეღობება ამ უკანასკნელ დროს გაბმული ერთგულული შეღლი და მტრობა. ეს ერთგულული მტრობა სულს უდგამს ანარქიას, თავდაცვის საშუალებას უსპობს ქვეყანას, მთელ ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალებს ძირს უთხრის და დაღუპვას უქადის ყველა იმას, რაც ამიერ-კავკასიის ხალხს მისცა რევოლიუციამ. ამიტომ ამიერ-კავკასიის მთავრობა, შეადგენა რა თვის შემადგენლობაში ყველა ერთგულებათა წარმომადგენელნი, ყოველივე ღონეს იხმარს, რომ გაუადვილოს სეიმს ეროვნული კითხვის გადაწყვეტა ყველა ეროვნებათა უფლებრივ თანაწორობის ნიადაგზე.

ამავე მიზნით მთავრობა ეცდება ეროვნებათა ტერიტორიალურ გადანაწილებას. ეროვნულ ნაციონალურ-ტერიტორიალურ კანტონებს. ... შინაურ თვითმართველობით და მცირე ერთა უფლებების უზრუნველყოფით.

ყველა ჩვენი ნგანი ხედავს რა ლახვარი ჩასცა ანარქიამ რუსეთის რევოლიუციას, ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიას დაღუპვა და მონობა მოელის, უკეთუ სოციალ-ფედერალისტებმა და პასუხისმგებლობის გრძნობამ არ დაიცა მისი ფრონტის მთლიანობა გარეშე და შინაურ მტრებისაგან. დღეს ეს ბედი ასცდეს ამიერ კავკასიის დემოკრატიას.

სრული დარწმუნებული, რომ ამ ჩვენ პროგრამას, რომლითაც ვიცავთ დემოკრატიის ფრონტის მთლიანობას და უზრუნველ ვყოფთ რევოლიუციის განმტკიცებას, თქვენ ყველა პარტიის და ყველა ერთა წარმომადგენელები ენერგიულათ მხარს დაუჭერთ და შეძლებას მოგვცემთ მის განსახორციელებლათ. მთავრობა მთელ თავის ძალონეს მოიკრებს და იმედი აქვს, რომ ის შეძლებს ამღელვარებულ ზღვიდან მიიყვანოს თავის გემი მშრომელთა ძმობის სასურველ ნავთსადგურთან.

შემდეგ ასეთ დეკლარაციისა ირაკლი წერეთელი მენშევიკების ფრაქციის მხრით, კადეტი სემიონოვი, არუთიუნიანი დაშნაკცუტების მხრივ და რასულ-ზადე „მუსსავათის“ მხრივ აცხადებენ, რომ ყველანი მხარს მისცემენ მთავრობას. უკანასკნელი იმით განირჩევა სხვებისგან, რომ ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ფუფურებს სეიმს და ახლად შემდგარ მთავრობას მისი პარტია: სეიმი დამფუძნებელი კრებაა, რომელმაც ამიერ-კავკასიის კონსტიტუცია და ძირითადი დებულებანი უნდა შეიმუშავოს, ხოლო მთავრობა დროებითია.

შემდეგ სემი იღებს ასეთ რეზოლიუციას: „მოისმინა რა მთავრობის დეკლარაცია, რომელსაც ამიერ-კავკასიის ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტია და ერი შეადგენს, სეიმი აღუთქვამს ყოველგვარად დახმარებას დეკლარაციის ცხოვრებაში გასატარებლად და გადადის მორიგ საქმეებზე“.

ბოლოს ონიაშვილის წინადადებით სეიმი ადგენს მიწის საკითხის გამო გამოსცეს მოწოდება სამ ენაზე, რის შერე სეიმის სხდომა სრულდება.

## თეთრი ზამთარი

(შემდეგი *)

XXII

დასრულდა ქორწილი და ახალი ჯვარდაწერილებიც მართლა ხამოგზაურად განებზადნენ, როგორც ეს იწინისწარმეტყველა ბალიმ. ბარძიმმა ბანკი შეაწუხა. საკმაოდ კარგა ჩუთვალა მერის და ანანც დაარიგა, ყოველთვის დეპეშით ეცნობებინა, სად იქნებოდნენ, ან რამდენი დასჭირდებოდათ. შემდეგ ერთის ამბით გაიცილეს. დილა ადრიან აიზიდნენ. სოფელსაც გაეგო. ყველას ერდოგებზე და ბანებზე მოეყარათ თავი და „დიდმატონიანთ-კენ“ იყურებოდნენ. ყველანი მხიარულობდნენ, გზას ულოცავდნენ. როცა ცხენებზე სხდებოდნენ, ბალიმ გულიანად გადაჰკოცნა. აქ კი თითქმის ასტირდნენ ორივენი:

— არ დაგვივიწყოთ, ეი, წერილები, წერილები... სადაც ბიხვიდეთ, საიდანაც არ უნდა იყოს, უთუოდ წერილები...

ბარძიმმა და ელიზბარმა გზა გაუთავეს ცხენებითვე. მათი წასვლა და ერთგვარი სიცარიელის გამეფება ერთი იყო. თვით კარის ძალიც კი მოწყენილი გაიყურებოდა იმ შარა გზისკენ, საითაც ჩაქრნენ მისი საყვარელი პატრონი და ტკბილი სტუმრები.

ყველაზე მეტად საშინელს მარტოობას განიცდიდა ბალი.

„წავიდა“! ჩაჩურჩულებდა იდუმალი ხმა,

„წავიდა, წავიდა“...

აბხილებდნენ ჩხრიალა ტის ადგილები, სადაც ხდებოდა ნაწყვეტით სიამის დღენი გაბარა.

„წავიდა“!..

ადასტურებდა მოწყენილი თვით ბალის კოშკი და უფრო კი ის კვარცხლბეკი გიჟურას პირად, სადაც სამი პატარა ხე ობლად ჩრდილავდნენ შანთის თავებს. აქ მოაშურებდა ბალი პატარა მუხლბალიშით და პამაჭკით. გაქნდებოდა და სიოს ფრთების ცემაზე ყურ განაბვით ინთქმებოდა გიჟურას ტალღათა ყ ვინში, ვიდრე ხარბად არ ისუნთქავდა ძძაფრი კაეშანით სულის დაწლას და გულის გახრწნას.

*) იხ. „საქართველო“ № 57.

ერთ კვირესაც არ გაეგლო, რომ საგრძნობლად გახდა, ჩამოსჭნა. მეზობლებში ალარავის ეკარებოდა. დედის შენიშვნებზე ისე ცივად უპასუხებდა, რომ უნებურად უნდა დაჩუმებულიყო და მშობლიური გრძნობანი გულში ჩაეკლა. თუ შინ იყო, მუდამ მკითხობაში იყო, ბანქოსა ამლიდა, განსაკუთრებით ეყვარდა პასიანსი, რაზეც სწორედ დილიდან სალამამდე ისე ალეგდა დროს, რომ ვეღარ კი ბრიშნენდა შელამებას. მას ალარ ეპატიჟებოდა ცოლქი და დაუდეგარი ბუნება, თვით ჩახრიალაც, ეს ბუნების დამამტკვეველი ალდმალი ენა, არ მოუთბრობდა თვის მომხიბვლელ ნაზ ხდეპრებს. მხოლოდ ერთხელ გავიდა ლამით ამ საყვარელ ჩრქეფარ დასთანა. სწორედ იქ ჩამოჯდა, სადაც პირველად აქ მოვლისას ელოდა ლელოს წვეულობას. ოდნავად შეტბორეულს ლაჟვარდ სარკეში ბზეზა დაეყურა თვის სახეს, რომელსაც ქვეშიდან, სალამაში, თითქოს მიჯ ურსავით შემოჰქოთქოთა ხეთი ლღია მთვარემ. დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩაეყურებდა ამ ღამის გულგს, რომელიც თითქოს მის მზგავსად ალიც შორეულზე იცნებობდა, მას წარმოუდგა ის ბედნიერი და შორს გაქრილი წუთები, როდესაც ნარცისმა პირველად იხილა თავისი თავი, კისკისით გიშრის დალალები ჩაეყარა ტბაში და აკუნწულ ალმასებით ისე გაეჭრა ზეფირთან ერთად საცეკვაოდ. თითონაც არ იცოდა, რად გაახსენდა ბედნიერი ცელქი გოგონა. მიმოგონებით დაზიდულს სახე მოელიფლა, განსაკუთრებით მაშინ უფრო, როდესაც სარკის მოლურჯო ფონზე ნარცისის ნაცვლად უცბურად მეტად მოწყენილს მეტყველებას.

— რა კარგი მოგონებაა ის „ჩარქეზი“,—გაიფიქრა თავისთვის, როცა ორი სამი წლის წინანდელი თავისი სახე გაახსენა, როგორც ახლო წარსულის მშვენიერების ასლი: ალბად ეს უკანასკნელიც წავა, დაქანება, ისევე შეირხევა და გაჭრება, როგორც წამს უკან ამ სარკის პირით გამომკრთალი ეი ეს ლანდი... რა საშინელი მეტამორფოზა ჰხდება ჩვენს ცხოვრებაში, რომ შეუმცნობელს მთვრალური ყელინი მივდევდეთ და გვჯერა მაცდურ მის სალაღურის საჴრო ხმის გამოძახილი!

არ უნდოდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ ყოველი წარმავალია. და მშვენიერებაც ისეთსაე მოგონებად გარდაიქცევა, როგორც საროსის ვარდის სიტურფე. ყველამ უმტკუნა. მწერების ზუზუნი ყურს ჰკვეთავდა. თუ სადმე პეპელას დაიჭერდა, ბარბაროსულად ფრთებს დაგლეჯდა და ისე გაუშვებდა, რომ მისი მშვენიერების ჩამოსერტყვა თვალით ენახა. ბაღობა და სიცელქე ისევ კისკისა ფერიებს დაუთმო. მთვარის შუქი თუ მის ოთახში შემოიპარებოდა, არა სამჯნურად და ცისფერ ყვავილთა მოსაქსოვად, არამედ უცნაურ კაეშნის კვეპარიოსთა ასაშორებლად.

მის დაღვრემილ ცხოვრებაში, მერის წერილებმა შეიტანეს სწრაფი ცვლილება. ორი გზიდან და ერთი პარიზიდან იყო მოწერილი. „ისე ჩემო ბალი,—სწერდა შთაბეჭდილების დასკვნას მერი: წიგნები სულ ტყუილი ყოფილა, მე და შენ ჩვენს ახალ გზდობის განთიადზე, ჩვენი სინორჩის ნაზი გრძნობა და თანაბარი ძალლონე სულ ამ წიგნებს შეგვალეგინეს, რა დანაშაულობაა! როგორ გვაშორებდენ ნამდვილ სიცოცხლის სარბიელსა! და რა მოვიგეთ? ალაფერი! ყოველსფერზე მხოლოდ ზერელე და მითითური წარმოდგენა გვქონ. წიგნი უდიდესი ცოდვა და სიყალბეა. ეს სადმე ამოკითხული თამამი აფორიზმი არ გეგონოს: მოაზიურობამ დამარწმუნა. ეი, ჩემს წინ ბოფორია. მე და ლელო ვსარგებლობთ სტამბოლში დარჩენით და ნავებით ბიმოსკირიალებთ. გინა ადწერილობითი შეიძლება წარმოიდგინო მისი მშვენიერება? აგერ, ფირუზოვან ტალღებზე თეთრი აფრები გამოჩნდენ. გადეგები გაბწკრიალდენ, თუ?... ხომალდებია!.. იქ გაჩერდა ოძის გალა თეგ-თავის საოცნებო მარმარილოს კოშკებით და სულთანის სასახლეებით. იქით ოქროს რქას შეგარაყებული ბურუსი შემორტყმია. სულთანი დმერთ კაცი უნდა იყოს, რომ მაჩვენოს ეს მშვენიერების კუთილშობილური ნაგები სამშობლოდ მიუცია. მისთვის ჰგირს, რომ ჯიმალებმა და ლეილებმა თავი გასწირონ სასიკვდილოდ. ბზეც აგერ ეს არის ამოდის და ცეცხლს უკიდებს ზვირთთა ქოჩორს. ძმიმე ლოდი მშორდება გულიდან. ეხლა ისე თავისუფალი ვარ, როგორც აგერ ტალღებზე მოსრიალე ჩემთვის უცნობი ზღვის ფრინველი. სანტარო მუდროება ხირვანას თეთრი ფრთებით მოჰქრის და მიპყრობს. ლელო თავისებური გაბეცებით მისჩერებია ცის იცრს. ათასში ერთხელ თუ ამოიღებს ბლოკნოტს და შენიშვნებს იწერს, ესკიზებს ხაზავს. ოჰ რა კარგი იქნება, რომ შესაძლებელი იყოს ამ მშვენიერების წუთების სამარადისოდ გარდაქმნა! სიცოცხლე ისეთს მყუდროებაში... სიცოცხლე ამდენ მშვენიერებაში... ოცნების ღიმილი... ბავშვობის უბიწო ბედნიერება... არა, ეს ხომ სიცოცხლის საიდუმლო გამოცხადებაა! აჰ, რატომ აქ არ ხარ, ჩემო ბალი! როგორ დავაშაყეთ, რომ შენც ჩვენა თანამგზავრი არ გაგხადეთ. აგერ, მზემ ცეცხლის ისრებით ვარდის კონები ამოსტყორცნა, ფერიათა საოცნებო კონტრასტები უცნაურ ციასარტყელის ხაგერდოვან სხივებად მოჰკრთის და ელვარების შუბით ტყდება. „ეი, ეს არის ის მშვენიერება... ღმერთი“... სწორედ ეხლა წამოძახა ლელომ და რაღაცა შენიშვნებს სწერს. მე ხელს არ ვუშლი. დაე, სწეროს. ნუ თუ, ჩემო ბალი, მართლაც ეს ორი უმაღლესი ცნება—ღმერთი და მშვენიერება ერთი და იგივე არ არის თანამედროვე ადამიანისთვის?!“

შემდეგს შენიშვნებში აღწერილი იყო სტამბოლის სხვა და სხვა კუთხე, აიასოფიის ტაძარი, შემდეგ ათინა, აკროპოლი, მარსელი, ხოლო განსაკუთრებული წერილი ეძღვნა პარიზისათვის, სადაც დაწერილებით აღწერილი იყო ლეგრი, ნოტრდამი, ტროგადერო, ლუქსენბურგის მუზეუმი, ინვალიდი, პარიზელი ცხოვრება, ყავახანათა ხმაურობა, და მის ჯადოსნური განათება, შეადამების ერიიმული, თუ ყოველდღიური დაუსრულებელი ფეიერვერკი, დარდიმანდ სამხრეთულ ბუნებისა, რომელიც ერთგვარის სითამამით ზრდის და აღტაცებულსა ჰყოფს როგორც უმრავლო მოქალაქეს, ისე სენატორს. „ვინაა აქ პრეზიდენტი, გლახა, მოქალაქე, მხატვარი თუ პოლიტიკოსი, ვერ გამირჩევია, ჩემო ბალი. აქ გამუდმებული კარუსელია, დაუთავებელი ორკესტრი ჯანსაღი და მეტად შეკრული სიმფონიისა. არ სცდებოდა ნიცშე, როდესაც სთქვა: ბარტისტს ევროპაში პარიზის გარეშე სხვა სამშობლო არა აქვსო. მართალია! მოსპეთ პარიზი და კაცობრიობის ჩაუქრება ის კოსმიური კერა, რომელიც ელდინთა შემდგომ მხოლოდ პარეს უნთია მკერდ ქვეშ“...

მერის წერილებმა უცნაურს გუნებაზე დააყენეს ბალი. უეცრივ მოესურვა, რომ იმ დღეს ეთბილისს გამგზავრებულიყო, თუმცა სად, არც თვითონ იცოდა. ჭინელადა. ადვილად შესაძლებელი იყო შავს ღრუბლებს თავი გამოეღოთ და სეტყვა წამოეშინათ. მაგრამ ბალის ყურადღება არ მიუქცევია ამ გარემოებისთვის, როგორც დედისა და ნათლიის რჩევისთვის, რომ, თუ არ დაიშლიდა, ერთი ორი დღეც დაეცადნა, ვიდრე კარგი დღე გამოვიდოდა. მაგრამ ბალი მტკიცედ იყო, გარდაწყვეტილება ვერ შესცვალა. ცხენი შეაკაზმვინა. მტირალი დედა ივანეზე ცივად გადაჰკოცნა. მხოლოდ ეალიზბარს ნება მისცა მზის გათავაზებისა.

არ ვიცი, რით და როგორ გადაგიხადოთ ბალიმ, ძვირფასო ნათლია,—უთხრა ბალიმ, როცა სადგურთან ჩამოვიდნენ: მაპატიეთ, მაგრამ მე ასე მიჯრდა... დედასთანაც ბოდიში, რომ სურვილი ვერ შევუსრულე. მაინც გააბნევეთ. უთხარით, რომ ჩინებულად ვიმგზავრეთ, ერთი სიტყვით, ისე მოაწყეთ, რომ არ იჯავრონ და მაპატიონ. ან და რა აქვს გასაჯავრებელი? განა ცოტა ფული დაგიჯრა? თავს უკვე კარგად ვგრძნობ... პაპიროსი? გმადლობთ, ნათლია, ეხლა არ მოვწევ... ბალატფორმაზე თუ... ან და მიმეცით შევინახავ, ისევ კუპეში მოვწევ, თბილისამდე კარგა მანძილია და გართობა დაჭირდება. კოლოფით დამითმეთ.

— სიამოვნებით, შვილო, აჰა, სულაც წაიღე.

პორციგარი მისთავაზა. ბალიმ ოცი-ოდე ცალი ამოიღო და საკვიციაში ჩაიწყო. ამასობაში მატარებელიც მოგრიალდა. ბილეთი აიღო. გამოეთხოვა. საარკეულიდან თავი გადმოჰყო და ერთხელ კიდევ გაახსენა:

— დედას უთხარი, არ იჯავრონ, აი!..

შემდეგ თავისთვის ჩამოჯდა და პაპიროსს მოუკიდა. ხარბად დაიწყო წეგვა. მატარებელი დაიძრა. სარკმლიდან გარეთ იყურებოდა. ნელნელ პატარა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა. ჰეშნოტიური ჩაძერებით შეჰყურებდა სწრაფად მფრინავს მთებს, ბუჩქებს, ტელეგრაფის ბოძებს თუ დედამიწის თვალთმაქცურს ტრიალს. მგონინის ძალერი ფანტაზია, რომლისთვისაც რეალობა მხოლოდ წარმოდგენაა, მის თავს ეწვია ლუჯ ფრინველად. რამდენი მისტიური, რამდენი მოხიბვლელი სურათი ათინანთანდა მის წინ. ოცნება მისი მოწყვეტილი ჰანგი იყო, დედებულ პეისაჟების თვალწარმტაცი პანორამა, სადაც ნაკადულთა ზღაპრების ჩუხჩეხს დაუფარია მშვიდი გიშერა თვალ განაბული მშველი, იგი ერთსა დაიმაგე დროს თუ საროსის ოდნავ შესვეტყვლს ვარდსა ჰგავდა, მეორეს ცხრით ემსგავსებოდა გოიტეს ფანტასტიურს ფიქრს, რომელიც ვეფხვს ჩრდილოეთში ყინულსა და თქეშს სარეყელში ამოსულა და სედის დიტირებით შეჰხეტის—ზხის ხსოვნებით დათუთქულს ცხელ სარტყელის მოშრიალე ბზეს.

ბალის ცრემლები წამოიწვა. რად? იქნებ მაისის ვარდის ბედნიერების გაქრობის შეგნების გამო? ან იქნებ ის ანადგურებდა, რომ ეცხო რაინდი სხვა მჯნურმა მოსტაცა და მის ადგილს ალარასოდეს არ შეისმენდა? ალარასოდეს! რა ძნელია მოსიყვარულე გულისთვის ამ შაბლონის გაგონება! ლელო გაბეზეიერდა. ნუთუ ამიტომ გახდა ობლ დ? ობოლია, ობოლი!.. მართლაც, ბალი ვერ ეღირსება მის ვაჟობის მორცხვს და ქალწულ სიმშვენიერეს.

ბალი მოჰქანცა ამ ფიქრებმა. თითქმის ბურანში გაფრენილ აზრს ვერ იკრებდა, თუ კუპეში სხვა ვინმე ახლდა თანამგზავრად. ეი, თავმა დაძლია და ნაბადამ სარკმელს დაეჯახა. შეჰკრთა. თმა შეისწორა, მაგრამ უცბად თვალები გაუშტერდა. პირზე დამილმა გაუჭირდა და თითქოს რაღაცა ახალი გაიგონო, ოდნავ გასაგონარის ხმით მხიარულად წაჩურჩულა:

— შეხედეთ, ლედამიწა როგორ ტრიალებს!..

(შემდეგი იქნება)

**დ. კახრაძე.**